ხელშეკრულება № 50

ქ. თბილისი **29 ნოემბერი 2019 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნანა ღაჭავას სახით და მეორე მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია“ (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გ. გობიანიძის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

სსიპ- ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას საკანცელარიო ნივთების (CPV30192700) შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების ცხრილში:

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	ფანქარი ფერადი	ცალი	4	2,90	11,60
2	ჭიკარტი დლ-833-1	ცალი	10	0,35	3,50
3	სკრეპი N3	ცალი	10	0,30	3,00
4	კლიპსი 51მმ	ცალი	12	0,19	2,28
5	კლიპსი 32 მმ	ცალი	12	0,095	1,14
6	კლიპსი 25 მმ	ცალი	12	0,05	0,60
7	საწერკალამი პე-2210/ს	ცალი	25	0,25	6,25
8	ტექსტმარკერი	ცალი	12	0,70	8,40
9	წებო 9გრ. დლ-27001-1	ცალი	24	0,20	4,80
10	დაფის მარკერი საშლელით	ცალი	3	2,00	6,00
11	ფლიპჩარტის ქაღალდი	ცალი	2	6,00	12,00
12	ჩასანიშნი წებოვანი ფურცელი დგ-33983-3	ცალი	12	0,60	7,20
13	ჩასანიშნი წებოვანი ფურცელი დგ-03	ცალი	12	0,40	4,80
14	შენიშვნიკ კუბიკი დლ-20014	ცალი	5	1,80	9,00
15	ფერადი არაწებოვანი კუბიკი	ცალი	2	3,50	7,00
16	ჩასანიშნი კუბიკი	ცალი	2	3,50	7,00
17	კორექტორი ლენტა	ცალი	4	0,65	2,60
18	კორექტორი ფუნჯი	ცალი	12	0,55	6,60
19	მაკრატელი მპ-468110	ცალი	4	1,75	7,00
20	მაკრატელი მპ-468010	ცალი	2	1,20	2,40
21	საკანცელარიო დანა მპ-018211	ცალი	2	0,90	1,80
22	მაგნიტი დლ-0680	ცალი	4	1,15	4,60
23	მაგნიტი მგ-2012	ცალი	4	0,65	2,60
24	ელემენტი AA-tinko	ცალი	4	0,50	2,00
25	საქაღალდე	ცალი	20	0,25	5,00
26	საქაღალდე რეზინით	ცალი	12	0,80	9,60
27	ბაინდერი	ცალი	15	2,60	39,00

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 177,77 (ასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და 77 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი.თამარ მეფის გამზ. 18

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა ღაჭავა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები, ს.ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენის საფუძველზე.

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებუ;ლია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულების 4.2. პუნქტში მითითებულ ვადაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ - ქალაქ თბილისის №116 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. თბილისი, შ. იამანიძის ქ. 7
ტელეფონი: (+995 32) 2340621
საიდენტიფიკაციო კოდი: №202055881
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. " ლიბერთიბანკი"
საბანკო კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების
ანგარიში: № GE87LB0115142415028000

მიმწოდებელი

შპს „პენსან ჯორჯია"

მისამართი: თბილისი, თამარ მეფის ქ. N13
ს.კ 404870760
საბანკო რეკვიზიტები:
ვითიბი ბანკი
ა/ა GE35VT6500000055555555

დირექტორის მ/შ ----------/ნანა ღაჭავა/

---------- /გ. გობიანიძე/